ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისათვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლილი ხეჩუაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ექსპერტი
ანა ბაცანკალაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ექსპერტი

თბილისი
2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის N954 ბრძანების შესაბამისად შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

- ლილი ხეჩუაშვილი (თავმჯდომარე);
- ირმა მანჯავიძე (წევრი);
- ანა ბაცანკალაშვილი (წევრი, სტუდენტთა წარმომადგენელი);

ვიზიტის ამოცანას უსდ-ის მიერ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებო პროგრამის (შემდეგში „სტომატოლოგიის პროგრამა“) ავტორიზებულ რეჟიმში დამატების მიზნით შეფასება წარმოადგენდა.

ვიზიტი 2019 წლის 15 ოქტომბერს განხორციელდა და კეთილგანწობილ სამუშაო გარემოში წარიმართა. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ის ზედა რგოლის, ადმინისტრაციული ერთეულების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და მედიცინის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და პარტნიორებს, უნივერსიტეტში მოქმედი ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტებს.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია (მაგალითად, კვლევაში გამოყენებული კითხვარები, სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატია და ფინანსური დოკუმენტაცია), რომლის მიწოდება უსდ-მ დროულად და სრულად უზრუნველყო. გარდა ამისა, ჯგუფმა დაათვალიერა უსდ-ის მატერიალურ ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასები და საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა და სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც უსდ-ის წარმომადგენლების თქმით, უახლოეს მომავალში ამუშავდება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ის შესაბამისობა ავტორიზაციის I (1.1 და 1.2), III (3.1, 3.2 და 3.3), IV (4.1 და 4.2), V (5.1 და 5.2), VI (6.1) და VII (7.1, 7.2, 7.3 და 7.4) სტანდარტებთან. შესაბამისად, დასკვნაშიც მხოლოდ ამ სტანდარტებთან მიმართებაშია საუბარი.

შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს რესურსი სტომატოლოგიის პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმში დამატებისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უსდ შესაბამისობაშია ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების კომპონენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- ლილი ხეჩუაშვილი (თავმჯდომარე)
- ირმა მანჯავიძე (წევრი)
- ანა ბაცანკალაშვილი (წევრი, სტუდენტთა წარმომადგენელი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. უსდ-ის მისია

„ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინდივიდებს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების საზოგადოების სასიკეთოდ დახვეწასა და გაზიარებაში. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, რასაც მოწმობს სტუდენტთა კორპუსი მსოფლოს 46 ქვეყნიდან.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შინაარსი თანხმობაშია უსდ-ის დეკლარირებულ მისიასთან, ვინაიდან ის პოტენციურ სტუდენტებს უსდ-ისთვის აქამდე ახალი მიმართულებით განათლების მიღების, კვლევის სწავლა-წარმოებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით პროფესიის ათვისებას სთავაზობს. ამასთან, საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მეტი არჩევანი ჰქონდეთ პროგრამების თვალსაზრისით და მათთვის სასურველი მიმართულებით (ამ შემთხვევაში სტომატოლოგიის) მიიღონ განათლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2017-2024;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://www.newvision.ge/ge/content/misia-strategia);
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სამედიცინო პროგრამის სტუდენტებთან და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები.

1.2. სტრატეგიული განვითარება

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი (სამწლიანი) მიზნები.

უნივერსიტეტის მესვეურებს კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი ადგილი და როლი საზოგადოებაში და სთავაზობს მას რეგიონული და დასავლური საგანმანათლებლო სამეცნიერო ექსპერტიზის შერწყმას, რათა უზრუნველყოს შრომის ბაზრის პრიორიტეტებთან მჭიდრო კავშირი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. უსდ-ის მიზანია ინტეგრირებული და მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ზოგად და ლიდერობის უნარებსა და საერთო-საზიარო ღირებულებებზე კეთდება.

სტრატეგიის დოკუმენტში ხასგასმულია უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანი, „მხარი დაუჭიროს პიროვნების თვალსაწიერის გაფართოებას განათლების, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობის გზით.“ კიდევ ერთი (ამ შემთხვევაში სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი) პროგრამის შეთავაზებით უსდ საშუალებას აძლევს პოტენციურ და მიმდინარე სტუდენტებს, საერთაშორისო პრაქტიკისა და ბაზრის შესწავლის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

შემუშავებული პროგრამის ფარგლებში აითვისონ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესია და გახდნენ კონკურენტუნარიანნი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2017-2024; • უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://www.newvision.ge/ge/content/misia-strategia); • უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს შემუშავებული აქვს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც შედგება ზოგადი ნაწილისგან, სადაც აღწერილია უნივერსიტეტის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, აკადემიური და მოწვეული პედაგოგების მუშაობა და აკადემიურ პოზიციაზე არჩევის წესები და სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები. ახალი საბაკალავრო პროგრამა სტომატოლოგია შექმნილია, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის შესწავლის, უცხოელ სტუდენტთა მიმართვიანობისა და ანალოგიური საერთაშორისო პროგრამის განვითარების პრაქტიკის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა, რომ ერთი წლის განმავლობაში ასამდე უცხოელი პოტენციური სტუდენტი დაუკავშირდა უსდ-ს სტომატოლოგიის პროგრამის მოთხოვნით, რაც პროგრამაზე არსებულ მოთხოვნაზე მიუთითებდა და მასზე მუშაობის დაწყების ერთ-ერთ წინაპირობად იქცა. პროგრამის შემუშავების პროცესში პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან, სადაც შეხვედრის მონაწილეები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ მოსაზრებებს პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესახებ. სტომატოლოგიური საგანამანთლებლო პროგრამის მოთხოვნაზე ბაზარზე ორიენტირებულობის გაზრდის მიზნით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა პოტენციურ დამსაქმებლებს შესთავაზა, რომ გაცნობოდნენ სტომატოლოგიის კურსდამთავრებულთა კომპეტენციათა ჩამონათვალს და მათი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით მოეხდინათ კომპეტენციათა რანჟირება, რათა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მაქსიმალურად ყოფილიყო ორიენტირებული სწავლის შედეგებზე.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ინგლიურ ენაზე, აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. პროგრამის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა თავდაპირველად მედიცინის სკოლის ხელმძღვანელობით განხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi) • ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამის შემუშავებისას უსდ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, კრედიტების გადატანისა და დაგროვების სისტემით. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათ უპრობლემო ჩართულობას სასწავლო პროცესში. სტომატოლოგიის პროგრამამოიცავს 300 კრედიტს. ეს არის ხუთწლიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც სავალდებულო (268 კრედიტი) და არჩევითი 127 კრედიტი) კურსებისგან შედგება. ძირითად კურსებში გაერთიანებულია ბაზისური საგნები, რომლებიც ისეთი ინტეგრირებული სილაბუსის სახით არის წარმოდგენილი, როგორებიცაა მედიცინის საფუძვლები I (მოიცავს ანატომიას, ჰისტოლოგიას, ფიზიოლოგიას და რადიოლოგიას), მედიცინის საფუძვლები II (ბიოქიმია და მოლეკულური ქიმია, ბიოლოგია, გენეტიკა). თითოეულ სასწავლო წელზე გათვლილია 60 კრედიტი. პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები. პროგრამასთან ერთად უსდ-მ წარმოადგინა კალენდარული გეგმა სემესტრული განაწილებით. გარდა ამისა, მასში მითითებულია სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სტრუქტურა გაგრძელებადია, შემადგენელი კომპონენტები ლოგიკურია და ორიენტირებულია საშუალო შესაძლებლობის სტუდენტზე. გამოყენებული სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან, იძლევა შესაძლებლობას სრულად იქნეს მიღწეული სამიზნე შედეგები. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ვიზიტის მსვლელობისას ისაუბრეს (თავიანთი) წარმოდგენილი სილაბუსების ფარგლებში საკუთარი პრაქტიკული საექიმო სტომატოლოგიური საქმიანობის როლის შესახებ სტუდენტთა კლინიკური პრაქტიკის განმავლობაში. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტუდენტები კლინიკაში საქმიანობის კონკრეტულ უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან, პრაქტიკული გამოცდილებისა და მიმდინარე კლინიკური პრაქტიკის მქონე აკადემიური პერსონალი შეუცვლელ რესურსს წარმოადგენს როგორც სტუდენტებისთვის, ისე დაწესებულებისათვის პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადების საქმეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • ინტერვიუები ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და უსდ-ის ადმინისტრაციასთან;

- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების დამაკმაყოფილებელი სისტემა, დანერგილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შეფასების სისტემები), სრულად კომპიუტერიზებულია უნივერსიტეტის საგამოცდო სისტემა, არის აღჭურვილი დარბაზები ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩასატარებლად, გამოყოფილი ტერიტორია უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ადეკვატურად ჩატარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტომატოლოგიის, როგორც დარგის ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი (როგორიც მედიცინის პროგრამისათვის არსებობს) ჯერ არ არის შემუშავებული, თუმცა კლინიკური უნარების შეფსებისათვის უსდ-ს სტომატოლოგიური სიმულაციურის ცენტრი მოწყობილი აქვს.

პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად. შეფასების სქემა მოწოდებულია (ა) ცოდნისა და გაცნობიერების, (ბ) უნარებისა და პასუხისმგებლობის და (გ) ავტონომიის კომპეტენციების დეტალური აღწერით, რომელიც, თავის მხრივ, პროგრამის შემუშავების ეტაპზე პოტენციურ დამსაქმებლებლთან კომუნიკაციის საფუძველზე იქნა შემუშავებული.

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები საკუთარი სწავლის შედეგების შესახებ უკუკავშირს ლექტორებისგან მიიღებენ, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, რასაც, უპირატესად, განმავითარებელი შეფასების ფუნქცია ექნება. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრაქტიკა უკვე დამკვიდრებულია უსდ-ში.

გარდა ამისა, უსდ-ში დამკვიდრებული პრაქტიკაა სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა, მათი კმაყოფილების შესწავლა და მოსაზრებების მოსმენა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემისა და საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. ამ გზით უწყვეტად ხდება სტუდენტთა უკუკავშირის გაზიარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულება (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi)
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები სამედიცინო პროგრამის სტუდენტებთან.

3. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

უსდ-ში შემუშავებულია პერსონალური განვითარების გეგმა-კითხვარი, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის პოზიციას და პერსონალური განვითარების მიზნებს, რომელსაც თავად აკადემიური და მოწვეული პერსონალი ავსებს, მიუთითებს იმ კონკრეტულ კომპეტენციას, რისი განვითარება და გაღრმავებაც სურს.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებელები იცნობდნენ პერსონალური განვითარების გეგმას და გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ჩაუტრდეთ ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით, რაც დაგეგმილიც არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტშიც. გარდა ამისა, ინტერვიუზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკვე გაიარეს ტრენინგი კომუნიკაციისა და ლიდერობის თემაზე.

როგორც მიუთითებენ აკადემიური და მოწვეული პედაგოგები, ამ ეტაპზე ისინი ესწრებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავალების მეცადინობებს, რომელსაც ატარებენ კოლეგები. ყოველი სესიის შემდეგ მიმდინარეობს ანალიზი ჩატარებული მეცადინოების შესახებ. როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, მათი დიდი ნაწილი პრაქტიკოსი ექიმები არიან და ნაკლებად აქვთ აკადემიურ სფეროში საქმიანობის გამოცდილება. ამგვარი ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიასა და სხვა მომიჯნავე საკითხებზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მათ პედაგოგიურ უნარებს და სასწავლო პროცესს მეტად ეფექტიანს გახდის.

უსდ-ში ჩამოყალიბებულია ხარისხის კულტურის კომიტეტი, რომლის ფუქნციები და წევრთა უფლება მოვალეობები გაწერილია დებულებით. აქვე განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ, სადაც აღნიშნულია რომ „პერსონალის შერჩევა ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს“ და შესაძლებელია როგორც შიდა, ისე გარედან კადრების მოძიება გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ჩატარებულია აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვა 2019 წლის გაზაფხულზე სამართლისა და მედიცინის პროგრამებზე. კვლევის შედეგები მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ პროგრამის განვითარებას თან ახლავს მუდმივად კონსულტაციბი პროგრამის ხელმძღვანელებთან და კოორდინატორებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის წესდება (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi);
- აფილირების პოლიტიკის დოკუმენტი http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi);
- აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ში შემუშავებულია აკადემიური თანამდებობის პირთა დატვირთვის ჩარჩო. აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვა (სემესტრში 880, წელიწადში 1760 საათი), შესაძლებელია განაწილდეს სხვადასხვა ვალდებულების შესრულებაზე და არ მოიცავს მხოლოდ სააუდიტორიო დატვირთვას. მასში გაერთიანებულია შემდეგი კომპონენტები: წერითი ნაშრომის ან ესეს გასწორება, დოქტორანტის კონსულტაცია და ხელმძღვანელობა, ახალი სასწავლო კურსის მომზადება, მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელოს შემუშავება და მონოგრაფიის გამოქვეყნება, და ასევე სხვა აქტივობები. ამ დოკუმენტით ასევე გაწერილია მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება კვირაში 20 საათი.

ბაზისურ და ზოგად დისციპლინებში, სილაბუსების შესაბამისად, სტომატოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში იმუშავებს ის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც წარმართვენ მეცადინოებებს მედიცინის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე. ხოლო აკადემიური პერსონალი სტომატოლოგიის მიმართულებით არჩეულია ღია კონკურსის წესით: 9 სტომატოლოგიის მიმართულებით, მათ შორის, 2 პროფესორის, 5 ასოცირებული პროფესორის, 2 ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე. 9 პროფესორიდან 5 აქვს აკადემიური ხარისხი მინიჭებული. 8 პროფესორი აფილირებულია უსდ-თან. გარდა ამისა, სტომატოლოგიური საბაკალავრო პროგრამის წარმართვისათვის ამ ეტაპზე მოწვეულია 4 პრაქტიკოსი ექიმი. სულ პროგრამის განხორციელებაში ჩარჩულია 13 აკადემიური და მოწვეული პერსონალი

წარმოდგენილ პროგრამაზე დაგეგმილია 48 სტუდენტის მიღება. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, აღნიშნული რაოდენობა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების (მაქსიმუმ 12 სტუდენტი ერთ ჯგუფში) ჯგუფების ოპტიმალური დაგეგმვის შედეგად არის მიღებული. ამასთან, აღნიშნული რაოდენობა გათვლილია 4 ჯგუფზე და მათვის შესაფერისი სასწავლო ოთახები და გარემო აღჭურვილია სწვალის პროცესის უზრუნველსაყოფად.

ყველა აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება ერთნაირია. სამუშაო საათები სემესტრში 880-საათიანი დატვირთვის სქემის მოქმედების პირობებში განისაზღვრება კვირაში 40 საათის ოდენობით. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება შეადგენს 24, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულება 30 სამუშაო დღეს, რომელთა აღების წინაპირობაა დასაქმებულის მიერ დამსაქმებლის შეტყობინება შვებულებაში გასვლამდე 2 კვირით ადრე. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დასვენების დღეებში სამუშაოს შესრულებაზე, რის სანაცვლოდაც დასაქმებულს ეძლევა შესაბამისი თავისუფალი დრო მომდევნო კვირის განმავლობაში. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღურდება დამატებით სახელფასო განაკვეთის 25%-ის ოდენობით.

მოწვეული პროფესორების ხელშეკრულება განსხვავებულია და უვადოა. მოწვეული პროფესორი ასრულებს სამუშაოს დამსაქმებელის მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური დატვირთვის შესაბამისად, რაც ინდივიდუალურად განისაზღვრება საათობრივად იმ კონკრეტულ სემესტრში, რომელშიც შეეთავაზება კონკრეტული კომპონენტი/კომპონენტები სტუდენტებს.

ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პროფესორები იცნობენ საკუთარი ხელშეკრულების შინაარსს და ეთანხმებიან მასში მოცემულ პირობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 13 აკადემიური და მოწვეული პედაგოგით ვერ აღიწერება ის, თუ როგორ უზრუნველყოფს უსდ პროგრამის მდგრადობას მასზე სტუდენტების რაოდენობისა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას, პროგრამის სპეციფიკისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ვინაიდან ბაზისური და ზოგიერთი არჩევითი საგნების სწავლებას განახოციელებენ ის პირები, ვისაც გააჩნია სწავლების გამოცდილება ამავე უნივერტსიტეტში მედიცინის პროგრამაზე.

გარდა ამისა, პროგრამის განვითარების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მდგარობა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო ბიუჯეტით, სადაც კვლევა სხვადასხვა წყაროდან (როგორებიცაა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, USAID) ფინანსდება და ბიუჯეტის თითქმის 20%-ია მიმართული ამ აქტივობაზე. ასევე, მხედველობაშია მისაღები ის

გარემოებაც, რომ უნივერსიტეტს სხვა არასამედიცინო და მედიცინის პროგრამის განვითარების წარმატებული გამოცდილება აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები; • სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკის დოკუმენტი; (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi); • ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • უსდ-ის 2019 წლის ბიუჯეტი.

4. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
წარმოდგენილ პროგრამაზე მიღების წინაპირობები წინასწარ ცნობილია პოტენციური სტუდენტებისათვის. მათ მოეთხოვებათ (ა) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ან (ასეთის უქონლობის შემთხვევაში) ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება, (ბ) გასაუბრების გავლა (უცხოელი აპლიკანტების შემთხვევაში, უპირატესად, ონლაინ გასაუბრება იმართება) და (გ) წერილობითი გამოცდის ჩაბარება საბუნებისმეტყველო საგნებში (ბიოლოგის, ქიმია, ფიზიკა). უსდ-ში შემუშავებულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტაციის გაცემის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, რომლებსაც ეფექტიანად ახორციელებს უსდ. ამასთან, სტუდენტებისათვის ცნობილია აღნიშნული წესებისა და რეგულაციების შესახებ, მათ შორის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც გაწერილია უსდ-ის მიერ მათთვის შეთავაზებული ხელშეკრულების ფორმაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელშიც მუშაობენ იურიდიული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და მათი ზედამხედველი ადვოკატები. ისინი უწევენ უფასო კონსულტაციას (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) ნებისმიერ მსურველს ისეთ საკითხებში, როგორებიცაა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი; განცხადების, საჩივრის, სარჩელის/შესაგებლის ან სხვა სახის იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება, დაინტერესებული პირის უფასო წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.newvision.ge; • საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi); • სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულება (http://www.newvision.ge/ge/content/cesdeba-da-debulebebi);
- სამედიცინო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენთა მხარდაჭერის სამსახური ორი სერვის ცენტრით, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. უსდ-ში მოქმედი კარიერული განვითარების ხელშემწყობი ოფისი სტუდენტებს სთავაზობს მომსახურებას კარიერის დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღებისა და დასაქმების მიმართულებით. აღნიშნული ოფისის თანამშრომლები ეხმარებიან მათ სტაჟირების, ნახევარგანაკვეთიანი და სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოძიებაში, რომელიც მოიცავს როგორც სამედიცინო (მაგალითად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბაზაზე ექთნის ასისტენტის პოზიცია), ისე სამედიცინო სფეროს მიღმა არსებულ დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ცხადი გახდა სტუდენტებთან ინტერვიუს მსვლელობისას.

ძირითადი კითხვები, რომლითაც სტუდენტები აღნიშნულ ოფისს მიმართავენ, ეხება კარიერულ განვითარებას, პროფესიული მიზნების შეფასებას, სამსახურისა და სტაჟირების მოძიებას, ეფექტური რეზიუმეს, საინფორმაციო წერილისა და სამოტივაციო წერილის დაწერას, ინტერვიუსთვის მომზადებასა და ანაზღაურებას პოტენციურ სამსახურში.

კურსდამთავრებულთათვის დამატებით შექმნილია კურსდამთავრებულთა განვითარების პროგრამა, რომელიც მათ პიროვნულ და კარიერულ წინსვლაზეა ორიენტირებული.

ინდივიდუალური კონსულტაციების გარდა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ვორკშოფებსა და ღონისძიებებს, სადაც სტუდენტები ხვდებიან დარგის ექსპერტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. აღნიშნული სერვისების გარდა, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, მათ კონსულტაციას უწევს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი ნებისმიერ დროს.

უნივერსისტეტმა გააფორმა მემორანდუმები სტომატოლოგიურ კლინიკებთან („ნიუ დენტი“ და „ვი აი პი სტომატოლოგია“), რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული კლინიკების ბაზების გამოყენებას კლინიკური, კვლევითი და სალექციო მიზნებით და, ასევე, სტაჟირების გავლის შესაძლებლობებს, ერთობლივი კვლევის წარმოებას, კონფერენციებისა და აკადემიური შეხვედრების ორგანიზებას. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის შესაძლო კონფერენციების, სხვადასხვა სახის პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან შესაძლო კონფერენციების, სხვადასხვა სახის პროექტების და გაცვლითი პროგრამების შესახებ როგორც ქვეყანაში, ის მის ფარგლებს გარეთ.

უსდ-ის რამდენიმე სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით იტალიაში. მედიცინის სკოლის ორმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესში („ანტვერპენის სამედიცინო სტუდენტთა კონგრესი, 2019“).

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება“ . სტუდენტებმა გამოაქვეყნეს პროფესორის ხელმძღვანელობით სტატია ჟურნალში („ალერგია, ასთმა, ფილტვების

ქრონიკული ობსტრუქციული დააავადება, იმუნოთერაპია და იმუნორეაბილიტოლოგია: ინოვაციური ტექნოლოგიები“).

უნივერსიტეტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ხელსაყრელი სოციალური გარემოს შექმნას. ამ მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავალეთნიკური და მრავალკულტურული შემადგენლობის გათვალისწინებით, ხშირად ეწყობა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის განკუთვნილი დღესასწაულები, ღონისძიებები და ა.შუსდ ხელს უწყობს სტუდენტთა ინიციატივების განხორციელებას, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები თავად სტუდენტური გაერთიანება და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც წინასწარი ჩაწერით უსასყიდლოდ უწევს სტუდენტებს კონსულტაციას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს სტუდენტთა დაზღვევის ხარჯებიც. ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ სტუდენტები კმაყოფილების კითხვარებს უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სერვისის შესახებ ელექტრონულად ავსებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან უსდ-ის სტუდენტთა უდიდესი ნაწილი უცხოელია და სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, მათ არჩევითად, უფასოდ შეეთავაზებათ ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რაც ადგილობრივ კულტურაში ინტეგრაციაში ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს მათთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.newvision.ge სტუდენტური სერვისების სექცია.
- სტუდენტთა ოფისის, კარიერული განვითარების ცენტრის, ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრისა და სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სტუდენტური ოფისისა და კარიერული განვითარების ცენტრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;
- კითხვარების ნიმუშები;
- პროგრამის ბიუჯეტი.

5. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1. კვლევითი საქმიანობა

„ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტმა დოკუმენტურად წარმოადგინა საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო რეგულაციები. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უსდ აქტიურადაა ჩართული კვლევით საქმიანობაში. უნივერსიტეტის პროფესორების ხელმძღვანელობით სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას ჩატარებულ კვლევებში. ბიუჯეტში კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილია საერთო თანხის 20%.

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში იგეგმება აღნიშნული თანხის (ბიუჯეტის მიხედვით ხუთ წელიწადზე გამოყოფილია 48.881.64 აშშ დოლარი) ალოკაცია უშუალოდ დარგისთვის სპეციფიური კვლევითი საქმიანობის (კვლევა, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) წარმართვისთვის.

გაფორმებულია მემორანდუმი შპს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ბიომედიცის ცენტრთან, რომლის თანახმად სტუდენტები ინტერგირებულნი იქნებიან კვლევით საქმიანობაში სწავლების

ადრეული ეტაპებიდან, მოხდება საგანმანათლებლო და კვლევითი პუბლიკაციების გაცვლა, მოეწყობა ერთობლივი კონფერენციები და სემინარები; გარდა აღნიშნულისა, უსდ თანამშრომლობს „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან“ მასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რომლის მიზანია „უნივერსიტეტსა და სააგენტოს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში, რათა უნივერსიტეტში ადგილობრივი და საერთაშორისო სტარტაპებისათვის ამოქმედდეს პრეაქსელერატორის პროგრამა.“
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://www.newvision.ge/ge/news/urtierttanamshromlobis-memorandumi-niu-vizhen-universitetsa-da-sakartvelos-inovaciebisa-da); • გაფორმებული მემორანდუმები; • გამოქვეყნებული პუბლიკაციები; • სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კვლევითი საქმიანობის კოორდინატორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

6. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1. მატერიალური რესურსი
დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის უსდ-ს აქვს ახალი აშენებული კორპუსი, სადაც გამოყოფილია მომავალი სტომატოლოგიური კლინიკისათვის სათანადო ფართი, გარემონტებული და აღჭურვილი სტომატოლოგიური სავარძელებით (5 სტომატოლოგიური სავარძელი) და დამხმარე სათავსოებით (სასტერილიზაციო). მიმდებარედ არის, ასევე, 5 საფანტომო სავარძელი და ზედა და ქვედა ყბის მულაჟები ინდივიდუალური მუშაობისათვის, როგორებიცაა მანეკენი ტორსი სახითა და პირის ღრუს სიმულატორით, საანესთეზიო, კბილის არხების დასაბჟენი მოდელი მოზრდილისა და ბავშვის, პერიოდონტული დაზიანებების მოდელი. სათანადო სამედიცინო საქმიანობის ლიზენციის მიღების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ საშუალება, რომ გაიარონ პრაქტიკული კურსი სტომატოლოგიაში. აღნიშნული აღჭურვილობა და სახარჯო მასალები სრულიად საკმარისია უსდ-ის მიერ დაგეგმილი რაოდენობის სტუდენტების (მაქსიმუმ 48) სრულად და ხარისხიანად მომსახურებისათვის. ვიზუალური დათვალიერებისას ცხადი გახდა, რომ დასასრულებელია იმ შენობის კეთილმოწყობა და რიგი სამშენებლო სამუშაოებისა (მაგალითად, ლიფტის დამონტაჟება), რომელშიც აღნიშნული კლინიკაა განლაგებული. შესაბამისად, სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც სტუდენტების ძირითადი პრაქტიკული სამუშაო ბაზის ფუნქციას აიღებს თავის თავზე, არ ფუნქციონირებს. როგორც უსდ-ის წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, კლინიკა ექსპლუატაციაში შევა მიმდინარე წლის ნოემბრის თვის ბოლოსკენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ უსდ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმები შპს „ვი-აი-პი“ სტომატოლოგიასთან და „ნიუ-დენტთან“, რათა დიპლომირებული სტომატოლოგის

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის უზრუნველყონ კლინიკური კურსების სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ინტერვიუს შედეგები უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან; • გაფორმებული მემორანდუმები.
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს ორ მისამართზე აქვს ბიბლიოთეკა, რომლებიც მოიცავს შემდეგ სივრცეებს: სამკითხველო დარბაზი აღჭურვილი კომპიუტერული და ასლგადამღები ტექნიკით; ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე. წიგნთსაცავი განთავსებულია ორივე მისამართზე არსებულ ბიბლიოთეკაში, გამოყოფილია სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის. ვიზიტის მსვლელობისას დათვალიერებამ აჩვენა, რომ არსებული საბიბლიოთეკო ფართი საკმარისია სტუდენტების არსებული რაოდენობისათვის. ბიბლიოთეკებში განთავსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. ასევე, უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა. ბიბლიოთეკის პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ხდება. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ისინი კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებსა და პერსონალს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. დაწესებულების ყველა ფაკულტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და ჟურნალები სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. საბიბლიოთეკო მართვის სისტემა, რომელიც ვიზიტის მსვლელობისას ბიბლიოთეკის დატვალიერებისას იქნა ნანახი, აიოლებს საბიბლიოთეკო რესურსების მართვასა და მეტად ხელმისაწვდომს ხდის უსდ-ის მიერ ბიბლიოთეკაში შეთავაზებული სერვისების გამოყენებას. წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები ლიტერატურის შეძენაზე, რომელთაგან ნაწილი უკვე შეძენილია და კლინიკური ბაზის დათვალიერებისას ადგილზე იქნა ნანახი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგები;

- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

7.3. საინფორმაციო რესურსი

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის კამპუსი ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნაზე და საქმის წარმოება მაქსიმალურად ელექტრონულად მიმდინარეობს. შესაბამისად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. უნივერსიტეტში არის ორი დიდი მოცულობის კომპიუტერული კლასი.

დაწესებულებაში დანერგილია სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემა. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eFLOW.

ვებგვერდზე განთავსებულია უსდ-ის მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ, კვლევისა და რესურსების შესახებ, ასევე, ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- მართვის ელექტრონული სისტემა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

7.4. ფინანსური რესურსი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი დივერსიფიცირებულია. მასში დეტალურად არის გაწერილი ყველა შესაძლო თუ უკვე გაღებული ხარჯი და მოსალოდნელი შემოსავალი. მთლიანად პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი (ხუთ წელიწადზე გათვლით) 197.387.37 აშშ დოლარს შეადგენს, მათ შორის არის ლიტერატურის შეძენის, სტუდენტთა დაზღვევის ხარჯები, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხუთწლიანი ბიუჯეტი.
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები ფინანსური სამსახირის თანამშრომელთან.